ხელშეკრულება №29/09-1

ქ. თბილისი

29 სექტემბერი 2011წ.

შპს "იუ–ჯი–თი" (შემდგომში "კომპანია") მისი დირექტორის გურამ ხოჯანაშვილის სახით, ერთის მხრივ და (შემდგომში "მყიდველი"), **სს "საპარტნიორო ფონდი"** (საიდენტიფიკაციო კოდით: 404404550) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი ეზუგბაიას სახით, მეორეს მხრივ, დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპანიის მიერ მყიდველისათვის კომპიუტერული ტექნიკის (შემდგომში „საქონელი") მიწოდება და საკუთრებაში გადაცემა;

1.2. საქონლის აღწერა მოცემულია დანართი №1–ში, რომელიც შედგება 1 ფურცლისგან. იგი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, ხელმოწერილია საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

1.3. დანართში მითითებულია: საქონლის დასახელება და კომპლექტაცია, მოდელი, რაოდენობა, ღირებულება, მხარეთა რეკვიზიტები და სხვა აუცილებელი მონაცემები;

II. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. კომპანია ვალდებულია, განახორციელოს დანართში მითითებული საქონლის მიწოდება და საკუთრებაში გადაცემა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის თანახმად;

2.2. კომპანია ვალდებულია, მიაწოდოს მყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი;

2.3. მყიდველი ვალდებულია, მიიღოს და აანაზღაუროს მიწოდებული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის თანახმად;

III. სახელშეკრულებო ღირებულება, ანგარიშსწორება

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება (შემდგომში "სახელშეკრულებო ღირებულება") შეადგენს 10,453.00 (ათიათას ოთხასორმოცდაცამეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;

3.2. ანგარიშსწორების პირობაა:
- უნაღდო ანგარიშსწორება;
- სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის გადახდა განხორციელდება ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში; საქონლის განცალკევებულად მიწოდებისას 10 დღიანი გადახდის ვადა აითვლება მიწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების გაფორმების დღიდან.

3.3. ანგარიშსწორება ხორციელდება ლარში;

IV. მიწოდების წესი

4.1. დანართში მითითებული საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა;

4.2. დანართში მითითებული საქონლის მიწოდება ხორციელდება თბილისის ტერიტორიაზე, დამკვეთის მიერ მითითებულ მისამართზე;

4.3. მიწოდებული საქონელი კომპანიის მიერ ჩაბარებულად ითვლება კომპანიის მიერ მიწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით, რომელიც დასტურდება კომპანიასა და მყიდველის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

4.4. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამ ეგზემპლიარად, რომელთანაგ ორი გადაეცემა მყიდველს, ხოლო ერთი - კომპანიას.

4.5. მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისას კომპანია მყიდველს წარუდგენს სასაქონლო ზედდებულს (დედანი). საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა ელექტრონულად აიტვირთება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.6. მიღება-ჩაბარების აქტზე, ასევე სასაქონლო ზედდებულსა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე ხელმოწერის უფლება ენიჭება მყიდველის მთავარ ფინანსურ ოფიცერს გიორგი ციმაკურიძეს (დაბ: 30.09.1987, პირადი ნომერი: 01017022858, პასპორტის ნომერი: 09AR44330, მისამართი: თაბუკაშვილი ქ.35/5, თბილისი,საქართველო).

V. საგარანტიო პირობები

5.1. კომპანია ვალდებულია, უზრუნველყოს სახელშეკრულებო საქონელი მწარმოებლის საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურებით დანართში მითითებული ვადების განმავლობაში, იმ შემთხვევაში თუ მყიდველის მიერ დაცული იქნა აპარატურის ექსპლუატაციის წესები;

5.2. საგარანტიო მომსახურება გულისხმობს დაზიანებული მოწყობილობის შეკეთებას ან შეცვლას იმავე მოწყობილობით;

5.3. დაუშვებელია აპარატურის გახსნა, ნებისმიერი ტიპის სამუშაოების ჩატარების მიზნით, კომპანიის წარმომადგენლის ან სპეციალური შეთანხმების გარეშე;

5.4. საგარანტიო მომსახურება არ შესრულედება თუ აპარატურას აქვს მექანიკური დაზიანება, ან შეცვლილია სერიული ნომერი, ან არ იკითხება მკაფიოდ, ან საერთოდ განადგურებულია;

VI. რეკლამაცია

6.1. სახელშეკრულებო საქონლის ასორტიმენტზე და რაოდენობაზე, ასევე მომსახურების არაჯეროვნად შესრულებაზე რეკლამაცია (პრეტენზია) კომპანიას წარედგინება მყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სახელშეკრულებო საქონელის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

6.2. კომპანია ვალდებულია რეკლამაცია (პრეტენზია) განიხილოს მისი მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში, თუ ამ ვადაში იგი არ უპასუხებს, რეკლამაცია (პრეტენზია) ჩაითვლება მიღებულად და აღიარებულად;

VII. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების

შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა;

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

VIII. ხელშეკრულების მოქმდების ვადა და პირობები

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ვალდებულებათა სრულად ამოწურვამდე;

8.2. ორივე მხარე უფლებამოსილია, მოშალოს ეს ხელშეკრულება ურთიერშეთანხმებით ან ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების არსებობისას;

IX. დავათა გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით. მხარეები ეცდებიან პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა უთანხმოება და დავა;

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს;

X. სხვა პირობები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობით, წინამდებარე ხელშეკრულების ფორმის დაცვითა და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

10.2. ხელშეკრულების რომელიმე კონკრეტული მუხლის/პუნქტის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების ბათილობას;

10.3. მხარეებს არ აქვთ უფლება, წინამდებარე ხელშეკრულებით მინიჭებული უფლება-მოვალეობები გადასცენ მესამე პირს, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

10.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება კომპანიაში, ხოლო მეორე – მყიდველთან;

XI. მხარეთა რეკვიზიტები

კომპანია:

შპს "იუ-ჯი-თი"
ი. ჭავჭავაძის გამზ. №17ა
0179, თბილისი, საქართველო
ს/კ: 204 892 964
ტელ: 22 05 05/ფაქსი: 22 02 06
საბანკო რეკვიზიტები:
სს "საქართველოს ბანკი" (ცენტ.ფილ.)
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000261644601

/გურამ ხოჯანაშვილი/

მყიდველი:

სს "საპარტნიორო ფონდი"
გამრეკელის ქ. 19, IV სართული,
თბილისი
ს/კ:404404550

ირაკლი ეზუგბაია

ხელშეკრულება №29/09-1
29 სექტემბერი 2011წ.

დანართი №1

#	პროდუქტი	რ–ბა	ერთ. ფასი	მთლიანი ფასი
1	Acer Veriton M490G Desktop PC Intel Core i7-870 2.93 Ghz 8 Mb L2 cache 64-bit 1333Mhz, Intel® H57 Express Chipset, 6 Gb DDR3 1333, Nvidia GeForce 405 512 Mb (1024MB Shared), 500 Gb HDD SATAII, DVD-ROM. High Definition Audio 7.1, Keyboard, PS/2 Mouse, Gigabit Ethernet, 3 year warranty	1	1,150.00 ლარი	1,150.00 ლარი
2	Acer Veriton M265 Desktop PC Intel Core Duo E5400 2.7 Ghz 2 Mb L2 cache 64-bit 800Mhz, 1 Gb DDR2 800(up to 4 Gb) , 320 Gb HDD SATAII, DVD-RW,Intel® Graphics Media Accelerator X4500, 1.44Mb FDD, Keyboard, PS/2 Mouse, 1 year warranty (PS.V88E9.032)	1	486.00 ლარი	486.00 ლარი
3	iMac 21.5" - 2.5GHz i5 500GB	1	3,287.00 ლარი	3,287.00 ლარი
4	CA17 14" Core i5 2410M 2.3GHz/ 4GB 500GB Blu-ray BT HD6630 1GB W7HP Neon Orange	1	2,690.00 ლარი	2,690.00 ლარი
6	HP LaserJet Pro M1536dnf	2	630.00 ლარი	1,260.00 ლარი
7	Cartriges: CE278A black (up to 2,100 pages) for 1536dnf	4	145.00 ლარი	580.00 ლარი
8	Cartridges CE285A Ultraprecise print cartridge, 1,600 pages, for 1102	4	131.00 ლარი	524.00 ლარი
9	Acer -G205HVBB - 20" FULL Glossy Black G series 1600 x 900 dpi, 5 ms, 50000:1 Contrast, Brightness 200:1, 3 years warranty	2	238.00 ლარი	476.00 ლარი
			სულ ჯამი დღგ–ს ჩათვლით:	10,453.00 ლარი

კომპანია:

მყიდველი: